საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №77/298-18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 10 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 თებერვლის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- დაარღვია საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული ორ თვიანი ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2012 წლის 25 მაისს -- -- პარტნიორმა, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების (-- აშშ დოლარი) დაკისრება მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, -- -- პარტნიორის, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება -- აშშ დოლარის ოდენობით.

2.2. 2014 წლის 27 მაისს -- -- სააპეაციო წესით გაასაჩივრა პირველი ინსტანციის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (გაუქმების და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით). -- სააპელაციო სასამართლოს საქმე -- -- სასამართლოდან მიუვიდა 2014 წლის 02 ივლისს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2014 წლის 09 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი, აპელანტის წარმომადგენელს სააპელაციო საჩივარზე არ ჰქონდა დართული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2014 წლის 23 ივლისის განცხადებით მხარემ წარმოადგინა უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულება. -- სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2014 წლის 07 ოქტომბერს მოპასუხემ -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი. 2014 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით -- -- საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2014 წლის 09 დეკემბერს. 2014 წლის 09 დეკემბრის სხდომაზე აპელანტმა საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და საქმის განხილვა გადაიდო 2015 წლის 03 თებერვალს (მოგვიანებით, 03 თებერვლის სხდომა გადაიდო 04 თებერვალს).

2015 წლის 04 თებერვლის სხდომაზე სასამართლომ განიხილა მხარეების რამოდენიმე შუამდგომლობა და საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2015 წლის 02 მარტს (სხდომის თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო 2015 წლის 02 მარტის სხდომა გადაიდო 2015 წლის 06 მარტს).

-- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 06 მარტის გაჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.3. -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 06 მარტის გაჩინება 2015 წლის 27 აპრილს საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- წარმომადგენელმა. 2015 წლის 13 მაისის განჩინებით საკასიცო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი, კასატორს არ ჰქონდა წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. მხარის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, 2015 წლის 01 ივნისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში (მოსამართლე, -- --).

2015 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით, -- -- წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად. 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 06 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.4. 2015 წლის 28 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა, -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს. -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -- --. 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2015 წლის 30 დეკემბერს.

-- -- მიერ 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება გასაჩივრებულ იქნა 2016 წლის 16 თებერვალს. 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით აღნიშნული საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში -- --. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, მოსამართლე -- -- განთავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან.

2016 წლის 17 მარტს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2016 წლის 01 აპრილის განჩინებით -- -- უარი ეთქვა 2016 წლის 16 თებერვლის საჩივრის დაკმაყოფილებაზე -- --.

2016 წლის 17 მაისს საქმე გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის -- განჩინებით -- -- საჩივრის ავტორს უარი ეთქვა -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნაზე. 2016 წლის 19 ივლისს საქმე დაუბრუნდა -- სააპელაციო სასამართლოს.

2.5. 2017 წლის 09 მარტის განჩინებით საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2017 წლის 21 მარტს. 2017 წლის 15 მარტს აპელანტმა -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმ მიზეზით, რომ მას არ ჰყავდა წარმომადგენელი, ითხოვა საქმის განხილვის გადადება. 2017 წლის 20 მარტს -- -- კიდევ ერთი განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროისთვის (განცხადებას დართული ჰქონდა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია). აღნიშნული განცხადების საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 25

აპრილს. 2017 წლის 24 აპრილს აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და კიდევ ერთხელ ითხოვა საქმის განხილვის გადადება. 2017 წლის 25 აპროლის სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე და საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 30 მაისს.

2017 წლის 29 მაისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, საქმის გადადება. 2017 წლის 30 მაისის სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე და საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 13 ივნისს. 2017 წლის 13 ივნისის სხდომაზე სასამართლომ განიხილა მხარეების შუამდგომლობები, მიიღო შესაბამისი განჩინებები და საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 11 ივლისს (2017 წლის 11 ივლისის სხდომა, სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო, გადადიო სხვა დროისთვის). 2017 წლის 21 ივლისს აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა საქმეზე სასამართლო სხდომის დანიშვნა.

2017 წლის 30 ოქტომბერს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა, -- -- სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- --. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი (საჩივარს არ ჰქონდა დართული სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი). 2017 წლის 01 ნოემბერს მხარემ წარმოადგინა საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 2017 წლის 02 ნოემბრის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქმეზე სასამართლო სხდომები გაიმართა 2017 წლის 21 ნოემბერს, 05 დეკემბერს, 12 დეკემბერს და 26 დეკემბერს. 2017 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე სასამართლომ -- -- გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2017 წლის 26 დეკემბერს აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, მისთვის 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარება. იგივე შინაარსის განცხადებით -- -- სასამართლოს მიმართა 2018 წლის 23 იანვარსაც. 2018 წლის 24 იანვარს აპელანტს ფოსტით გაეგზავნა 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ხოლო სააპელაციო საჩივრით მოპასუხეს, -- -- წარმომადგენელს სარეზოლუციო ნაწილი ჩაბარდა 2018 წლის 06 ივნისს.

2.6. 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება -- -- საკასაციო წესით გაასაჩივრა 2018 წლის 05 თებერვალს. 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება 2018 წლის 13 თებერვალს საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა -- -- წარმომადგენელმა, -- --.

მოსამართლე -- -- თანაშემწის მიერ 2018 წლის 25 ივლისს მომზადდა აქტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში, ვერ მოხერხდა. აპელანტს დასაბუთებული გადაწყვეტილება გაგეგზავნა 2018 წლის 26 ივლისს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს, 2018 წლის 27 ივლისს.

2.7. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 279 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 225 საქმე (80.6%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 10 დეკემბრის -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტით

გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამოქალაქო საქმის განხილვის ვადებს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა - „ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას.“

იმისათვის, რომ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად შეიცავს მოსამართლის ქმედება შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა „არასაპატიოდ“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებებს. ამ ნორმის თანახმად, „...ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.“ სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლის ბრალეულ ქმედებას მოჰყვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა და ამ დარღვევამ არსებითად შელახა მხარეების კონსტიტუციური უფლებები, მიჩნეულ შეიძლება იქნას, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური გადაცდომის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად დააზიანა მოსამართლის ქმედებამ სასამართლოს ან/და საჯარო ინტერესები და რამდენად შეეზღუდა მხარეს ზემდგომი ინსტანციისათვის მიმართვის შესაძლებლობა.

როდესაც საჩივარი ეხება საქმის განხილვის ვადის დარღვევას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ" („საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ობიექტური გარემოებების ჭრილში) უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577).

მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე

მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- კოლეგიური შემადგენლობის ფარგლებში -- -- საქმეს განიხილავდა 2016 წლის 17 მარტიდან 2017 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წელზე და 09 თვეზე მეტი დროის მანძილზე. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სამის განხილვის საერთო ვადა არის 02 თვე, თუმცა, განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევაში საქმის განხილვის 02 თვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს 05 თვემდე. შესაბამისად, საქმის სირთულიდან გამომდინარე (საქმე ეხებოდა დამფუძვნებელი -- -- გარიცხვას და მის მიერ კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას), საქმის განხილვის გაჭიანურების ვადის ათვლა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დაიწყოს მოსამართლისათვის საქმის განსახილველად გადაცემიდან 05 თვის გასვლის შემდეგ.

საქმის განხილვის გაჭიანურების ვადაში არ უნდა შევიდეს არც ის პერიოდი, როდესაც მოსამართლეები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ჰქონოდათ საქმის მასალები და მოეხდინათ მათი შესწავლა. 2016 წლის 17 მაისს საქმე გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქმე სააპელაციო სასამართლოში დაბრუნდა 2016 წლის 19 ივლისს. ამ დროის მანძილზე (2 თვე) მოსამართლეები ვერ შეძლებდნენ გაცნობოდნენ საქმის მასალებს და შესაბამისად, ეს ვადა არ უნდა იქნას გათვალისწინებული საქმის განხილვის გაჭიანურების საერთო ვადაში. ამდენად, სახეზეა საქმის განხილვის გაჭიანურება 1 წლით და 2 თვით.

საქმის განხილვის გაჭიანურებაში კონკრეტული მოსამართლის ბრალეულობის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს მხარეთა მოქმედებები, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად და მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმის განხილვის გადადება ხდებოდა საჩივრის ავტორის და საქმეში აპელანტის, -- -- შუამდგომლობის საფუძველზე. გარდა ამისა, მხარეებმა რამოდენიმეჯერ გაასაჩივრეს შუალედური განჩინებები და ამ მიზეზით საქმე იმყოფებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად ამისა, მოსამართლეებმა საქმეზე ჩაატარეს 5 სასამართლო სხდომა, განიხილეს დიდი რაოდენობით შუამდგომლობები და ობიექტურად, ყველანაიდარ ხელი შეუწყვეს საქმის განხილვის მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში დასრულებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №77/298-18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი